

რაჭის მოსახლეობის ჯანმრთელობის

მდგომარეობის შეფასება

ნათია ბიჭაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ნათია ბიჭაშვილის ჯანდაცვის მენეჯმენტში ბიზნესის
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ჯანდაცვის პოლიტიკა და მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თენგიზ ვერულავა, მედიცინის
აკადემიური დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2013

აბსტრაქტი

მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ზრუნვა, ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება, მაღალი ხარისხის და უსაფრთხო სამედიცინო მომსახურებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, ფინანსური რისკებისაგან დაცვა, კმაყოფილების დონის ამაღლება ყოველი ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის ეროვნული პრიორიტეტი და პასუხისმგებლობაა. ჯანდაცვის სისტემაში განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში.

მოცემული კვლევა ეხება რაჭის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას, იქ არსებულ პრობებს სამედიცინო მომსახურების მიღების მხრივ. კვლევის მიზანი იყო, რაჭის რეგიონის მაგალითზე დაგვედგინა, თუ რა მოლოდინები აქვთ მოსახლეობას და შეგვესწავლა ის პრობლემები რაც დღეისთვის არსებობს რაჭაში. მოქმედებს თუ არა სახელმწიფო სადაზღვევო პოლისები და რამდენად ეხმარება ეს მოსახლეობას ფინანსური თვალსაზრისით, რა ბარიერები არსებობს სამედიცინო სერვისების მიღებასთან დაკავშირებით და რამდენად კმაყოფილია მოსახლეობა იქ არსებული პრობებით, მომსახურე პერსონალითა და სამედიცინო მომსახურებით.

ჩატარებული კვლევა წარმოადგენს ერთ-ერთი პირველი მცდელობას, შეფასდეს რაჭის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. კვლევაში მონაწილეობდა 18 და მეტი ასაკის მოსახლეობა (პირისპირი ინტერვიუ) და მიღებული შედეგები რეპრეზენტატული იქნა მთელი რეგიონისთვის.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ჯანმრთელობის პრობლემებს ონის რაიონის მცხოვრებნი მეტად უჩივიან, ამბროლაურის რაიონის

მოსახლეობასთან შედარებით, ამასთან მძიმედ დაავადებული ადამიანების რიცხვი სოფელში უფრო მაღალია. რაჭის მოსახლეობა ყველაზე ხსირად იყენებს ექიმ-სპეციალისტის მომსახურებას და სასწრაფო სამედიცინო მომსახურებას. ხშირია თვითმკურნალობის პრაქტიკა, რაზეც მედიკამენტების ყიდვის სიხშირე და ექიმთან ვიზიტების სიმცირე მიანიშნებს. მოსახლეობის უმეტესობა დაზღვეულია უმწეოთა დაზრვევის ფარგლებში, მაგრამ გამოკითხულთა დიდი ნაწილი არ არის იმის შესახებ ინფორმირებული, თუ რა მომსახურებაა მათთვის უფასო დაზღვევის ფარგლებში. დიდ პრობლემას წარმოადგენს ტერიტორიული და ფინანსური ბარიერიც, რაც ხელს უშლის ადამიანებს მიიღონ სასურველი სამედიცინო დახმარება. არსებული პირობებიდან გამომდინარე, კმაყოფილების დონეც დაბალია მოსახლეობაში. სათანადო აპარატურისა და ხელსაწყოების არარსებობის გამო, არ არის იმის საშუალება, მიიღო სასურველი სამედიცინო დახმარება, სასურველი ხარისხით და დოზით.

რაჭაში არსებული მდგომარეობის გამოსწორება რთულია, თუმცა შესაძლებელი. საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს რეგიონში არსებული ჯანდაცვის სისტემის მდგომარეობას, საავადმყოფოების აღჭურვას, იქ მომუშავე პერსონალის კვალიფიციურობას, ასევე მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდებას, იმის შესახებ თუ რა მომსახურებაა მათთვის უფასო დაზღვევის ფარგლებში და შესაბამისად რა სახის მომსახურების მიღება შეეძლება ადგილზე.